გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35
2007 წლის 5 ივნისი
ქ. გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის კომუნალური, კერძოდ წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო მომსახურების ტარიფის დაწესების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

მუნიციპალიტეტის საკრებულომ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის წყალმომარაგების და საკანალიზაციო მომსახურებაზე დაწესებულ იქნას ტარიფის შემდეგი განაკვეთები

ა) ქალაქ გურჯაანის ტერიტორიაზე წყალმომარაგების მომსახურებაზე ტარიფი განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე თვეში 1. 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს – 6. 00 ლარისა ერთ ოჯახზე.

ბ) გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის, სადაც წყალმომარაგება ხდება თვითდინებით, ტარიფი განისაზღვროს ერთ ოჯახზე თვეში 1.00 ლარის ოდენობით.

გ) გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის, სადაც წყალმომარაგება ხორციელდება ელექტროენერგიის საშუალებით, ტარიფი განისაზღვროს ერთ ოჯახზე თვეში 2. 00 ლარის ოდენობით.

დ) გურჯაანის მუნიციპალიტეტში არსებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო მომსახურებაზე ტარიფი განისაზღვროს ერთ კუბუმეტრ მოსახმარებელ წყალზე და ერთ კუბუმეტრ ფეკალური მასის ჩაშვებაზე თვეში 4, 00 ლარის ოდენობით.

2. ტარიფით განსაზღვრული თანხევის ადმინისტრირება მოახდინოს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების ტენდერში გამარჯვებულმა იურიდიულმა პირმა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ ხევიაშვილი